



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 25  
13/04/2017

25-04-4-201704131528



**მუნიციპალური პროექტების დაფინანსების მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსების მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ წინადადებები თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტი

(ლარი)

№	პროექტის დასახელება	ინფრასტრუქტურული პროექტის სრული ღირებულება(საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)/სხვა პროექტის ღირებულება	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	700,000	700,000	2017 წელი	
2	დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატის შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთება	545,060	545,060	2017 წელი	
3	მახუნცეთის თემის ადმინისტრაციული შენობის და ზუნდაგის ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია	791,270	400,000	2017-2018 წლები	
	ჯამი	2,036,330	1,645,060	X	X